ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კონჭკათის მაჟორიტარის ტარიელ არაშიძეს მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

მოგესალმებით ბატონო თავმჯდომარევ, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას, ჩვენს მოქალაქეებს.

წარმოგიდგენთ, ჩემი როგორც საკრებულოს წევრის 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

ვეცდები, მოკლედ შევაჯამო ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც გასული წლის განმავლობაში ვმუშაობდი, როგორც კომისიებისა და ფრაქციის ფორმატში, აგრეთვე სოფლის მაჟორიტარი.

მე გახლავართ ფრაქცია "ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე, ჩემს უფლებამოსილებას ვახორციელებ ორ დარგობრივ კომისიაში, ესენია: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

თავდაპირველად, მოგაწვდით სტატისტიკურ მონაცემებს:

საანგარიშო პერიოდში სულ გაიმართა საკრებულოს 20 სხდომა, აქედან დავესწარი 19 სხდომას; კომისიების სხდომას დავესწარი 24 -ჯერ. ფრაქციის სხდომა, ჩემი თავმჯდომარეობით გაიმართა 9-ჯერ.

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

მე და ჩემი გუნდი აქტიურად ვმუშაობთ ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომლიც გამომდინარეობს ჩვენი მოქალაქეების ადგილობრივი საჭიროებებიდან. ეს გახლავთ ბიუჯეტის ფორმირების პროცესი, ინფრასტრუქტურის განვითარება, სოციალური ღონისძიებები და განათლების სტიმულირება. გასულ წელს, პირადად ჩემი და ფრაქციის მხარდაჭერითა ინიციატივით, მივმართეთ აღმასრულებელ ორგანოს მერიას, წარმატებული სპორტსმენის დაჯილდოების მიზნით. აღნიშნული ინიციატივა , რომელიც მერიამ გაიზიარა, ემსახურება ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენების ღვაწლის დაფასებას და წახალისებას.

ფრაქცია" ქართული ოცნება" კვლავ აქტიურად აგრძელებს განათლების სტიმულირების პროგრამას, რომელიც წლების წინ დაინერგა. გასულ წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით 100 %-ს გრანტის მფლობელი 17 ახალგაზრდა და მისი აღმზრდელის სკოლები დაჯილდოვდა.

განათლება და ახალგაზრდების წახალისება, ჩვენი გუნდისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით ფრაქცია გამოვიდა ინიციატივით და ბიუჯეტში აისახა პროგრამა, რომელიც ახალგაზრდების თვით გამოხატვას ემსახურება და მისი ბიუჯეტი 50 000 ლარით განისაზღვრა. აღნიშნული პროგრამა არის კარგი

მაგალითი, თუ რა ფორმები და ინსტრუმენტები უნდა შეიმუშავოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, ახალგაზრდების წახალისების და მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანო საკითხები:

მე აქტიურად ვმონაწილეობდი ყველა იმ მნიშნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში, რომელსაც საკრებულო თავის უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს.

უპირველესად აღვნიშნავ 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესს. ჩვენი მოსაზრებები, შენიშვნები და რეკომენდაციები აისახა ფრაქციის დასკვნაში, რომელიც მიეწოდა მერიას გასათვალისწინებლად.

დარგობრივ კომისიის და ფრაქციის ფორმატში, აქტიურად ჩავერთე დაბა გომისმთასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებაში. განხილვებისა და დეტალური მოკვლევის შედეგად შემუშავდა ერთობლივი დასკვნაც. შემდგომ ეტაპზე, ასევე, ჩართული ვიყავი კურორტის დასახლების და სახელდების განსაზღვრის პროცესში, რომელსაც დარგობრივი კომისია ახორციელებდა.

ფრაქცია "ქართული ოცნების" ინიციატივა გახლდათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე პერსონალისთვის ხელფასის ეტაპობრივი ზრდა. ეს მატება არ არის საკმარისი, თუმცა ვფიქრობ დაწყება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი ის ერთ-ერთი მნიშნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს აძლევს საშუალებას დეტალურად გაეცნონ ყველა იმ პროგრამას, რომელიც მათთვის არის განკუთვნილი. განხილვის პროცესი კომისიისა და ფრაქციის ფორმატში აქტიურად მიმდინარეობდა.

მოქალაქეებთან შეხვედრები:

გარდა იმისა, რომ არსებოს დამტკიცებული გრაფიკი, რომლითაც განსაზღვრულია მოქალაქეებთან შეხვედრის და მიღების კონკრეტული დღეები. მე როგორც , საკრებულოს წევრი და აგრეთვე ფრაქციის თავმჯდომარე ყოველდღიურ რეჟიმში ვხვდები მოქალაქეებს, ვისმენ მათ საჭიროებებს და ვცდილობ ოპერატიულად მოვახერხო პრობლემატური საკითხების მოგვარება.

სტატისტიკური მონაცემები კი, დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად ასეთია:
მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 75 , შეხვედრებში მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 125.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

ერთად, პირადი სახსრებით, ასევე, ადგილობრივ ბიზნესმენების მხარდაჭერით პირველადი მოხმარების პროდუქტებით, საგნებით დავეხმარეთ ათეულობით ოჯახს.

სამომავლო გეგმები:

უახლოეს პერიოდში სოფელში დაგეგმილია მაღალი ხარისხის ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟი, რის შედეგადაც სოფლის მოსახლეობას მიეწოდება მაღალი ხარისხის ინტერნეტი. ეს საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას სწრაფი წვდომა ქონდეს ინტერნეტ სერვისებზე.

2021 წელს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილია განთიადის უბნიდან მთავარ ანგელოზის სახელობის ტაძრამდე რკინა ბეტონის გზის მოწყობა სულ 1800 მ. აგრეთვე არტეზიული ჭის მოწყობა რომელიც მოემსახურება 200 ოჯახს. ასევე იგეგმება კონჭკათი ორმეთის დამაკავშირებელი გზის საპროექტო სამუშაოები.

ბოლოს მინდა გითხრათ, რომ მე, როგორც საკრებულოს წევრი, სოფლის მაჟორიტარი და ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ჩემს გუნდთან ერთად, მათი მხრადაჭერით ყველა ღონეს ვიხმარ ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში, ეტაპობრივად გადაწყდეს ის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელიც სოფელის და ჩვენი მუნიციპალუტეტის წინაშე დგას.

აქვე, მინდა მადლობა გადაგიხადოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ჩემს კოლეგებს და საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისთვის.

მადლობა ყურადღებისათვის!

ტარიელ არუშიძე

24.02.2021 წ.